# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N1765 2016 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

## „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტის ,,მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ განხორციელების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხელი მოეწეროს „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტის ,,მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ განხორციელების შესახებ“ შეთანხმებას.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების სურსათისა და

სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ განხორციელების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1292 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი